ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3398509

ნომერი: AR1521410

თარიღი : 08.07.2017

გაცემის თარიღი : 14.07.2017

გაცნობის თარიღი : 14.07.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სარაჯიშვილი , N 17 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა კანდელაკიშვილი პ/ნ 40001006991
- გურამიშვილის გამზ., N 76

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა გაითვალისწინოთ და წარმოადგინოთ შემდეგი:

- დაცული იქნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პანდუსის გაბარიტული ზომები და დახრის პროცენტულობა. ამჟამად წარმოდგენილი გეგმის მიხედვით ზუსტად არ არის დაცული 6%-იანი დახრის პროცენტულობა. ასევე გეგმაზე მიეთითოს პანდუსის სიგანე და შესასვლელი კარის წინ განთავსებული ბაქნის სიგანე. ფოტომონტაჟზე ასევე მიეთითოს პანდუსის სიმაღლე.

- დამატებით წარმოადგინეთ ის არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები, რომლებზეც დამუშავებულია ფოტომონტაჟები და გაითვალისწინეთ, რომ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები და ფოტომონტაჟები ერთიდაიგივე რაკურსიდან უნდა იქნას გადაღებული და დამუშავებული.

- ვინაიდან სამუშაოები დაწყებულია უნებართვოდ ასეთ შემთხვევაში “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისთვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდეგ ან უნდა განახორციელოთ ნაწარმოები მშენებლობის დემონტაჟი, რომლის დამადასტურებლად უნდა წარმოადგინოთ განახლებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები და მასთან ერთად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი აქტი, უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის განხორციელებული დემონტაჟის თაობაზე.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.